20410484

საქართველოს ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტის

# განკარგულება

25/08/2025 N 166

თბილისი

## შპს „ქეშ ქონნექთი"-ს ვალუტის გადამცვლელი პუნქტის რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ

„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ზ" ქვეპუნქტის, „ვალუტის გადამცვლელი პუნქტების რეგისტრაციისა და რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2025 წლის 9 ივლისის N167/04 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-13 მუხლის პირველი პუნქტისა და მე-4 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის და საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2024 წლის 16 სექტემბრის N235/04 ბრძანების საფუძველზე:

1. შპს „ქეშ ქონნექთს" (საიდენტიფიკაციო კოდი N425371288) ხარვეზის აღმოსაფხვრელად დადგენილი ვადის გაშვების გამო, უარი ეთქვას ვალუტის გადამცვლელი პუნქტის რეგისტრაციაზე;

2. აღნიშნული განკარგულების გასაჩივრება შეიძლება თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ.თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი N64), მხარისათვის მისი ოფიციალურად გაცნობიდან ერთი თვის ვადაში;

3. განკარგულება ამოქმედდეს მხარისათვის გაცნობისთანავე.

ირმა ბოკუჩავა

ი. ბოკუჩავა

დეპარტამენტის უფროსი
არასაბანკო დაწესებულებების ზედამხედველობის დეპარტამენტი

QUALIFIED ELECTRONIC SIGNATURE